

საპარტოვლო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო



14 იანვარი, კვირა, 1940 წ. № 9 (10 178) ღარი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

გურამ მოღვაძე — უკლიერისი!

სხვა დროს იქნებ დისკრიმინაციულ აქტად ჩაგვეთვალა საბჭოთა კავშირის ძიუდოსტა ნაკრების მწვრთნელთა გადაწყვეტილება, რომლებმაც ქვეყნის მთავარ გუნდში ამჯერად არ შეიყვანეს ისეთი სახელგანთქანი ფალაგები, როგორებიც არიან მსოფლიო ჩემპიონები ამირან ტორტიკაშვილი და კობა კურტანიძე. ეს ნაკრები შედგა იაპონიის უდიდესი საერთაშორისო ტურნირში („მორიკი“) სასპარტოვლო ტორტიკაშვილსა და კურტანიძეს კი ახლა იმდენად მყარი რეპუტაცია აქვთ, რომ ისინი თვით ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებისთვის არ მოაციდნენ. მიუხედავად ამისა, ნაკრების წევრების ვაკანსიის ნახევარი საქართველოს ოთხეულმა შეავსო. როგორც უკვე გაცნობით, იაპონიაში გაემგზავრნენ თბილისელები გურამ მოღვაძე და ვალერი პარუნაშვილი, გორელი გიორგი თენაძე და ქუთაისელი აკაკი კობორაძე.

გურამ მოღვაძის საქართველოს წარმომადგენლებმა შეძლეს ხმა მოეწვინათ ჩემპიონის ჯიბრებით გავიგეთ, რომ გურამ მოღვაძემ (65 კგ) ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველად მოიპოვა ამ პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონობა. საბჭოთა კავშირის ნაკრები კი მეორე ადგილზე გავიდა. სხვა ჩემი ფალაგების პირად შედეგებს მოგვიანებით გაცნობებთ.



მოლოცვა ისრაელიდან „ლელოს“ რედაქციას!

ბოლომდე თქვენი გაზეთის საშუალებით მთელ საქართველოს მივულოცოთ ახალი წელი. ვულოცავთ ქუთაისის რეგბისტებს ზედხედ მესამე გამარჯვებას ქვეყნის ჩემპიონატში, ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს. ვულოცავთ „გურიის“ ფეხბურთელთა გუნდს უმაღლეს ლიგაში ვადასვლას. კვლავაც წინსვლა და წარმატებები იყოს მათი თანამგზავრი.

ქართველ ფეხბურთელებს და კალათბურთელებს ვუსურვებთ დაებრუნებინოთ სასახლო ტრადიციები. დაე, ყველა საქმეში გამარჯვებები მოეტანოს ახალ წელს თქვენთვის, ჩვენს საყვარელ ქართველ ხალხს.

დათო ეფრემიანი. თელ-ავივი. ისრაელი.



14 იანვარი — ქართული თეატრის დღე, კორპორაცია „დურუჯის“ ფესვებზე გახდა

საპარტოვლო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

საპარტოვლო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ოქმი № 112 1 მარტი

მიღებულ იქნეს შეფოხა მათხედ და მიეცეთ ნებართვა, რათა ატარონ სახელწოდება „დურუჯი“ (ერთხმადაც), გამონახულ იქნეს თანხა, რათა შექმნილ იქნეს მათთვის საჭირო ტანსაცმლის ვარჯიშობის დროს. დაევალოს მორიგე მამახალხის მოწოდება ხაერთო კრება ფეხბურთელთა ორივე ჯგუფის კორპორაცია კანდიდატის და ხაერთოდ დახის წევრთა, ვინაც სურს, სადაც შეხვდეთ რთლები უნდა გაცნონ კორპორაციის დადგენილებას და ხაერთოდ გამორკვეულ იქნეს შემდგომში ფეხბურთელთა და კორპორაციის ურთიერთ შორის დათვლილებები. მორიგე მამახალხის —

ოქმი № 120 2 ივლისი

ფეხბურთელთა წარმომადგენლის განცხადება, რომ გუნდის ხელმძღვანელმა საჭიროა პლაცი, რისთვისაც კორპორაციის სიბოვის დახმარების აღმოჩენას და ის, რომ უკიდრთი ფეხბურთელი ვანიადის მატერიალურ გაჭირვებას.

ოქმი № 122 6 ივლისი

გაერთიანებული კრება, რომელსაც ესწრებოდა კორპორაციები, კანდიდატები, ორივე ფეხბურთელთა გუნდი და დახის წევრები. პირველ სიტყვას ამბობს მორიგე მამახალხისი, რომელიც ესაუბრა გუნდს და ულოცავს იმ გამარჯვებას, რომელიც მას ერგუნა ამ უკანასკნელ შეჯიბრებაზე. შემდეგ სიტყვას ამბობს ალ. ახმეტელი, რომელიც აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულად მუშაობას, რისი დამამატებელი საბუთებია თეატრში „დურუჯის“ გამარჯვება და გუნდის გამარჯვება ფეხბურთელთა შორის. გახადდება აგრეთვე აკაკი ხორავა, ბოლო სიტყვას ამბობს გუნდის კაპიტანი პაკოვი. უსურვებს გამარჯვებას და მადლობას ამბობს გუნდის ხელმძღვანელს ამისთვის კორპორაციაში იმ ყურადღებისთვის, რომელიც გამოიჩინა „დურუჯმა“ შეფოხის დროს. ვინაიდან ზოგიერთი გუნდის წევრი ვანიადის მატერიალურ ხიფათს იკრავს, ამისთვის კორპორაცია ხმარდება მათ ერთ წარმოდგენას, ხელმძღვანელ გრიგოლ რობაქიძის „მარას“ დადგმას მათ სახარვეზოდ. კრების თავმჯდომარე, მორიგე მამახალხისი —

პორაციას, რომ ფეხბურთელთა გუნდის გასაქოლებლად სპექტაკლი „ლამარა“ გამართულიყო 13 ივლისს. ოქმებში მოხსენიებულია ორი გუნდი. პირველი იყო ყვარლის „დურუჯი“, მეორე გუნდის შესახებ კი 1926 წლის 9 მარტის „ახალგაზრდა კომუნისტი“ წერდა: „კორპორაცია „დურუჯმა“ შეფოხა მიიღო ყოფილ ქვეთარძის სახელობის ფეხბურთელთა გუნდზე.“ გარდა ამისა, კორპორაცია შეეცადა თბილისში ჩამოეყალიბებინა სპორტკლუბი „დურუჯი“, რომლის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ყოფილი „შეგარდენის“ წევრები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები დოცენტ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. სამწუხაროდ, ჩასახული ურთიერთობები არ განხორციელდა, ვინაიდან საქართველოს პოლიტიკურმა სამართლებლო კორპორაცია გამოეცხადა ნაციონალისტურ-მედიისტური განწყობის არაღივალურ ორგანიზაციად. ერთ-ერთ ბრალდებად დასახელებული იყო ფეხბურთელთა ორგანიზაციის დასახელება. ამის შესახებ პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარეა ლ. ბერიამ განცხადებით მიმართა საქართველოს კ(მ) ც-ის პირველ მდივანს შ. ელიაშვილს, რის საფუძველზეც 1927 წლის იანვარში კორპორაცია დიშლდა.

საუბრე მამახალხისი, თეატრის დღე.





